კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი

14.11.2011წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ნინიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
ლუბა კოზმავა – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
ალექსი თაბუაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლია გუგუშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ფატი დავითულიანი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;
არისი ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – სსიპ „თბილისის არქიტექტურის“ სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაშისაქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, ალექსი თაბუაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი N1 და N2) წარმოდგენილი ვარიანტი;

2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე		/დავით ნინიძე/
კომისიის წევრი		/ლუბა კოზმავა/
კომისიის წევრი		/ალექსი თაბუაშვილი/
კომისიის წევრი		/ლია გუგუშვილი/
კომისიის წევრი		/ფატი დავითულიანი/
კომისიის წევრი		/არისი ბოჭოიძე/

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი

28.12.2011წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ნინიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
ლუბა კოზმავა – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
ალექსი თაბუაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლია გუგუშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ფატი დავითულიანი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;
არისი ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – სსიპ „თბილისის არქიტექტურის“ სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2011 წლის 14 ნოემბერს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #198) კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრის ალექსი თაბუაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2011 წლის 18 ნოემბრის 12:00 საათამდე ერთი კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საფასური და საკონკურსო წინადადება – ფ/პ გიორგი კერესელიძე.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება.

განხილვის შემდეგ, კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა რამდენიმე კანდიდატს მიეღო კონკურსში მონაწილეობა. ამით კომისიის წევრებს საშუალება მიეცემოდათ არჩევანი სხვადასხვა ნამუშევარს შორის საუკეთესოზე გაეკეთებინათ. თუმცა ეს არ ყოფილა ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი. მთავარი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ წარმოდგენილი ერთადერთი ნამუშევარი განსხვავდება კონკურსით გათვალისწინებული კონცეფციისგან, რადგან მასში არ იკითხება დავალების მთავარი შინაარსი და ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ერის

ერთ–ერთი საუკეთესო ნაწილის მიმართ გამორჩეულ–განსხვავებული დამოკიდებულების წარმოჩენის მოთხოვნა. სამწუხაროდ, არც არქიტექტურული მხარე ტოვებს ასეთ განცდას. ამიტომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, წარმოდგენილი ნამუშევარი არ იქნას გამარჯვებულად გამოვლენილი, ხოლო კონკურსი გამოცხადდეს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

კომისიამ დაადგინა:

1. ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი (საკონკურსო განცხადების #198) ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.
2. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს ფ/პ გიორგი კერესელიძეს.

კომისიის თავმჯდომარე		/დავით ნინიძე/
კომისიის წევრი		/ლუბა კოზმავა/
კომისიის წევრი		/ალექსი თაბუაშვილი/
კომისიის წევრი		/ლია გუგუშვილი/
კომისიის წევრი		/ფატი დავითულიანი/
კომისიის წევრი		/არისი ბოჭოიძე/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

28 დეკემბერი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს კონკურსის საშუალებით გამოცხადებულ ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

საკონკურსო კომისიის (აპარატის) თავმჯდომარე:

დავით ნინიძე –

საკონკურსო კომისიის წევრები:

ლუბა კოზმავა –

ალექსი თაბუაშვილი –

ლია გუგუშვილი –

ფატი დავითულიანი –

არისი ბოჭოიძე –

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

მიხეილ კახნიაშვილი -

მარიამ ცენტერაძე -